

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №25**

ქ. თბილისი

21.11.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

*უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)
წევრები:*

ნუგზარ სხირტლაძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), სხდომის თავმჯდომარე;
მაკა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
ალექსანდრე ცისკარიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
ირაკლი ღარიბაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი;
რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი;
ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
რამაზ საყვარელიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
ნანა შარიქაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

*სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)
წარმომადგენლები:*

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლალა გიორგიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
თამარ შენგელია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
გიორგი მუნჯიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ნინო ფოფხაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ბ. მონიშვილი

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნინო მეგრელი - მოდულური/დუალური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის ხელშეწყობის ქვეპროგრამის დანერგვის კოორდინაციის სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია:

1. ლიანა ჭოველიძე - რექტორი;
2. მარინე კობალავა - პრორექტორი;
3. ნინო ბოჭორიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფისა და სტარტეგიული განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი;
4. მაია ვასაძე - ბიბლიოთეკარი;
5. მერაბ მიქელაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
6. სალომე პირველი - იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი;
7. რუსუდან ჯინჭარაძე - ბუღალტერი;
8. გულნაზი მოსიაშვილი - სპეციალისტი;
9. ნანა ასლამაზიშვილი - დეკანი;
10. ანზორ აბრალავა - მოწვეული სპეციალისტი;
11. ვახტანგ ანთია - მოწვეული სპეციალისტი;
12. სოფიო ალფაიძე - ბიბლიოთეკარის თანაშემწე.

ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი:

1. მარინე იოსელიანი - რექტორი;
2. არჩილ გერსამია - ადმინისტრაციის უფროსი;
3. ნანა მაჭარაშვილი - კვლევითი დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
4. ჟანა ანთია - ტრენინგებისა და კონსულტაციის ცენტრის ხელმძღვანელი;
5. ქეთევან ავალიანი - ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი;
6. თინათინ კლდიაშვილი - საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
7. ანანო გორგოძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
8. ელენე ბერიძე - ხარისხის მართვის სპეციალისტი;
9. დავით წასიძე - ხარისხის მართვის სპეციალისტი/იურისტი;
10. ეკატერინე ხარაბაძე - სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;
11. ნესტან ინასარიძე - სტუდენტური კოორდინატორი;
12. თამარ ჟღენტი - ხარისხის მართვის სპეციალისტი;
13. თამარ დოლიძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

ნ. მოჭიშვილი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ნინო ამირანაშვილი;
გიორგი ქურდიანი;
ელენე ჯიბლაძე;
მურთაზ კვირკვია;
ნუცა ჯგერაძე;
თამარ რემიშვილი;
მარინა გედევანიშვილი;
დავით კუპატაძე.

სხვა დამსწრე პირები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, მოწვეული საბჭოს წევრი სათათბირო ხმის უფლებით;

შორენა ხუბუნია - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, მოწვეული საბჭოს წევრი სათათბირო ხმის უფლებით;

საბჭოს სხდომა დაიწყო 18:37 საათზე. სხდომას არ ესწრებოდა, საბჭოს თავმჯდომარე, დავით აფრასიძე, შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნუგზარ სხირტლაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს უმაღლესი სასწავლებელ ჯორჯიას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.



1. შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიას წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს, სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე Skype-ის მეშვეობით წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, კოლინ რაბანმა. საბჭოს წინაშე რეკომენდაციები ასევე წარადგინეს ადგილობრივმა ექსპერტებმაც:

- გადაიხედოს მისიის განაცხადი იმგვარად, რომ იგი უფრო მეტად იყოს ფოკუსირებული და გამოხატავდეს ჯორჯიას გამორჩეულ მისწრაფებებს, თუ როგორ გეგმავს წარმატების მიღწევას და სტუდენტისა და პარსონალის რა დამახასიათებელი გამოცდილება აქვს სხვა ინსტიტუტებისგან განსხვავებით.
- გადაიხედოს სტრატეგიული განვითარების გეგმა. სასწავლებელმა უნდა განიხილოს გეგმის ისეთი რევიზია, რომელიც ჩამოაყალიბებს დაწესებულების მისიის მიღწევის მკაფიო გეგმას მზარდი მოთხოვნების მქონე ბაზარზე.
- ინსტიტუციამ უნდა იქონიოს მკვეთრი ფოკუსი მის მიზნებსა და ამოცანებზე და შეიმუშაოს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების კომპლექტი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა ძირითადი აქტივობა შეესაბამებოდეს ჯორჯიას მისიას, სტრატეგიას და ხედვას და რომ სტრატეგია შესაძლოა მოდიფიცირდეს დაწესებულების შიგნით და გარეთ მიმდინარე პროცესებისა და ცვლილებების შესაბამისად.
- დაწესებულების ხელმძღვანელობამ უნდა იმსჯელოთ დაწესებულების სტრუქტურის იმგვარად შეცვლის თაობაზე, რომ მენეჯმენტის უფლებები და ვალდებულებები უფრო ფართოდ გადანაწილდეს მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულ პერსონალზე.
- პრიორიტეტი, მათ შორის ფინანსური რესურსები, უნდა იქნეს მიმართული ინტერნაციონალიზაციისკენ, მათ შორის უცხოენოვანი პროგრამების ან პროგრამის კომპონენტების შემუშავებაზე, პერსონალის ტრენინგზე ინგლისურ ენაში, მეტი გაცვლითი შესაძლებლობების შექმნაზე და სხვა.
- სტუდენტური თვითმმართველობის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის გარკვეული სახის ზომები უნდა იქნეს მიღებული.
- ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურმა უნდა მოაწყოს დისკუსია დაწესებულების მასშტაბით ჯორჯიას მიერ "ხარისხის კულტურის" განვითარების

E. Imortom

ვალდებულების მნიშვნელობისა და შედეგების შესახებ (მათ შორის პერსონალის როლსა და ვალდებულებებზე).

- პერსონალთან და სტუდენტებთან კონსულტირებით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს, რომ ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის კითხვარები შეიცვას ანონიმურად, რომ კითხვები დასმული იყოს სათანადოდ და იყოს რესპონდენტებისათვის მნიშვნელოვანი.
- უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმის ეფექტიანი და თანამიმდევრული გამოყენება.
- ყველა სტუდენტი, ჩარიცხვისთანავე უნდა იღებდეს მკაფიო მითითებებს პლაგიატიზმის თაობაზე. დაწესებულებამ, ასევე, უნდა მიიღოს რიგი მექანიზმები სტუდენტთა ინფორმირებისათვის ინსტიტუციის პოლიტიკაზე პლაგიატიზმთან დაკავშირებით და მის შედეგებზე.
- დაწესებულების პლაგიატიზმის პროცედურები უნდა იყოს მკაცრად კონტროლირებადი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი წარმოადგენდნენ პლაგიატიზმის გამოვლენისა და აღკვეთის აქტიურ და ეფექტიან საშუალებას.
- დაწესებულებამ მისი მისიის შესასრულებლად და სტუდენტებისათვის შიდა მობილობის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, სასწავლებელმა უნდა მისცეს პრიორიტეტი ახალი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, რითაც უზრუნველყოფს მის სიცოცხლისუნარიანობას მუდმივად ცვალებად და კონკურენტულ გარემოში.
- დაწესებულებაში უნდა არსებობდეს ფორმალიზებული მიდგომა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებთან დაკავშირებით.
- თითოეული კურსის შეფასების სტრატეგია უნდა გადაიხედოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ იგი შეესაბამებოდეს სტუდენტთა მიერ სწავლის განცხადებული შედეგების მიღწევას.
- შრომითი ხელშეკრულებები უნდა იქნას განახლებული, რათა აისახოს არსებული ფინანსური ურთიერთობები დაწესებულებასა და მის პერსონალს შორის.
- შეიმუშავეთ პერსონალის შენარჩუნების საშუალო და გრძელვადიანი პოლიტიკა და ზომები პერსონალის მაღალი ბრუნვის რისკის შესამცირებლად.
- შეიმუშავეთ მკაფიო მექანიზმები მისი პერსონალის წასახალისებლად/დასაჯილდოებლად (მაშინ, როცა პერსონალის მართვის პოლიტიკა შეიცავს შესაბამის პუნქტს, იგი ვერ ახდენს იმ ინდიკატორების იდენტიფიცირებას, რომლებითაც უნდა შეფასდეს პერსონალის საქმიანობა).
- განახორციელეთ შრომითი კონტრაქტებისადმი უფრო ინდივიდუალური მიდგომა, უფრო მკაფიო პირობებით და მექანიზმებით, როგორც ინსტიტუციის, ისე დასაქმებულისათვის და მიუთითოს შესრულების მონიტორინგის ვადები.
- უნდა ითარგმნოს ინგლისურად და ვებგვერდზე განთავსდეს დაწესებულების რეგულაციები და ძირითადი დოკუმენტები.
- უნდა გატარდეს ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილ იქნას კურსდამთავრებულთა უფრო აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და გაძლიერდეს მათი წვლილი ხარისხის გაუმჯობესებაში.
- უნდა გაუმჯობესდეს სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და უზრუნველყოფილ იქნეს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ სრული და ზუსტი

ნ. მოთხოვნა

წარმოდგენა მის ვალდებულებებსა და ადგილზე დაწესებულების სტრუქტურაში. ამგვარმა ქმედებამ უნდა უზრუნველყოს, რომ სტუდენტთა პრობლემები გადაცემული იყოს დაწესებულების შესაბამის პირებისა თუ დეპარტამენტებისათვის.

- საორიენტაციო შეხვედრები, ან გაცნობითი ღონისძიებები უნდა ტარდებოდეს ხშირად იმ მიზნით, რომ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიეწოდოს არა მხოლოდ ახალ, არამედ მობილობით გადმოსულ სტუდენტებსაც.
- შემუშავდეს სტრატეგია მკაფიო და შეფასებადი სამიზნე ნიშნულებით, რათა გაუმჯობესდეს აფილირებული პერსონალის კვლევითი და სამეცნიერო აქტივობა.
- უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ადეკვატური ფინანსირება დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განსახორციელებლად.
- განხილულ უნდა იქნეს უთმობს თუ არა სტრატეგიული განვითარების გეგმა და ოთხ-წლიანი სამოქმედო გეგმა სათანადო ყურადღებას სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობას და უზრუნველყოფილ იქნას, რომ ორივე დოკუმენტი ამ სფეროში იძლეოდეს შესაბამის ინდიკატორებს დაწესებულებისა და ცალკეული პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შესაფასებლად.
- სამეცნიერო საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შესაფასებლად უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დაწესებულების ახალი ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელება.
- სანიტარული კვანძები უნდა იქნეს ადაპტირებული სპეციალური საჭიროებების მქონე პერსონალისა და სტუდენტებისათვის და მეორე სართულის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად უნდა დამონტაჟდეს ლიფტი.
- ვებგვერდი უნდა განახლდეს და უნდა უზრუნველყოფდეს ძირითად დოკუმენტებზე წვდომას როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე.
- სტრატეგიული მიზნების მისაღწევად სასწავლებელმა უნდა მოახდინოს დაფინანსების ახალი/დამატებითი წყაროების იდენტიფიცირება.

სხდომის თავმჯდომარე, ნუგზარ სხირტლაძე, დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის პროექტში შეტანილი ცვლილებებით დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს მიმართა კითხვით რამდენად წარმოადგენდა აღნიშნული ცვლილებები ექსპერტთა ჯგუფის საერთო პოზიციას და ერთობლივ გადაწყვეტილებას. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ დასკვნის პროექტის მიხედვით, მე-4 სტანდარტი შეფასებულიყო იყო როგორც - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან, კერძოდ 4.2 კომპონენტი იყო შეფასებული როგორც - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან; მე-6 სტანდარტი შეფასებულიყო იყო, როგორც - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; მე-7 სტანდარტი შეფასებული იყო როგორც - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და ამავდროულად 7.4 კომპონენტი ფასდებოდა, როგორც - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან. საბოლოო დასკვნაში კი მე-4 სტანდარტი ფასდებოდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მე-6 სტანდარტი ფასდებოდა, როგორც - მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან და მე-7 სტანდარტი ფასდებოდა, როგორც - მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან.

წ. მორთა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, პროფესორმა რაბანმა განაცხადა, რომ ეს არ იყო ერთი ადამიანის გადაწყვეტილება, პირველ რიგში მან გაითვალისწინა უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია, ასევე მას ჰქონდა მიმოწერა ჯგუფის ორ წევრთან, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ ამ სტანდარტთან მიმართებით და მათთან დისკუსიის შედეგად მოხდა ცვლილება თითოეული სტანდარტის მიმართ, რომელიც ასევე გაზიარებული იქნა ჯგუფის დანარჩენ წევრებთან, შესაბამისად საბოლოო გადაწყვეტილება იქნა გაზიარებულ იქნა მთლიან ჯგუფთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნუგზარ სხირტლაძემ, სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს მიმოეხილა ის სტანდარტები, რომელზეც თვითონ იყო პასუხისმგებელი. პროფესორმა რაბანმა აღნიშნა რომ შეფასებისას პასუხისმგებელი იყო მე-6 სტანდარტზე და გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ დაწესებულებას გააჩნდა მხოლოდ საბაკალავრო პროგრამა. აქედან გამომდინარე 6.1 კომპონენტი იყო მეტწილად შესაბამისობაში, ასევე 6.2 კომპონენტთან მიმართებით ინტერნაციონალიზიის გათვალისწინებით, დაწესებულებას ჰქონდა გარკვეული გამოწვევები და კომპონენტის შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაში. ასევე 6.3 კომპონენტის მიხედვითაც, იმ მოცემულობით რაც არსებობდა, მისთვის დამაკმაყოფილებელი და ადეკვატური იყო, რაც გააჩნდა ამ დაწესებულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე სთხოვა პროფესორს რაბანს მიმოეხილა მე-7 სტანდარტი და ის გარემოებები, რომელსაც დაეყრდნო ამ სტანდარტის შეფასებაში შეტანილი ცვლილებები, ვინაიდან სტანდარტზე პასუხისმგებელი ექსპერტთა ჯგუფის წევრი არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, კოლინ რაბანმა, აღნიშნა, რომ მე-7 სტანდარტთან მიმართებით, იყო ორი მთავარი საკითხი, პირველი ეხებოდა სანიტარულ კვანძებს, რამდენად შეესაბამებოდა მოთხოვნებს, ასევე პრობლემური საკითხი იყო შენობის ადაპტირება და მეორე მნიშვნელოვანი შენიშვნა ეხებოდა ფინანსურ საკითხს, რამდენად ჰქონდა დაწესებულებას საკმარისი ფინანსური რესურსები. 7.1 კომპონენტთან მიმართებით ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სანიტარული კვანძები საჭიროებდნენ გაუმჯობესებას, ასევე საჭირო იყო შენობის ადაპტირება სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის, შესაბამისად, თავდაპირველად კომპონენტი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან, თუმცა ჯგუფმა დამატებით იმსჯელა არგუმენტირებული პოზიციის მიღების შემდგომ და კომპონენტი შეაფასა, როგორც მეტწილად შესაბამისი. რაც შეეხება 7.4 კომპონენტს, ეს იყო განსაკუთრებით მძიმე საკითხი, ვინაიდან იყო განსხვავებული მოსაზრებები ასევე ინტერპრეტაციები თუ რა ითვლებოდა საკმარისი ფინანსური რესურსებად დაწესებულებისთვის. ასევე განხილული იქნა ის მცირედი შემოსულობა, რაც დაწესებულებას ჰქონდა ყოველწლიურად და კითხვები იყო შეძლებდა თუ არა დაწესებულება მსგავსი შემოსულობით იმ სტრატეგიული მიზნების განხორციელებას, რაც ჩაწერილი იყო სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმებში. ბოლოს ჯგუფი შეჯერდა, რომ კომპონენტი შესაძლებელი იყო შეფასებულიყო, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შესაბამისად ამ მსჯელობაზე დაყრდნობით მოხდა კომპონენტის შეფასების ერთი საფეხურით გაუმჯობესება და შეუსაბამობიდან ავიდა ნაწილობრივ შესაბამისობაზე.

წ. მოქიშაძე

საბჭოს წევრები, კონსტანტინე სირბილაძე და თამარ ზარანდია, ასევე დაინტერესდნენ მე-6 სტანდარტში განხორციელებული შეფასების ცვლილებებით, ცვლილებების მოტივაციებითა და ფაქტობრივი გარემოებებით, რომელსაც ისინი დაეყრდნენ. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მე-6 სტანდარტში შეცვლილი, გაუმჯობესებული იყო ორი კომპონენტის - 6.1 და 6.3 შეფასება.

ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ 6.3 კომპონენტის ცვლილების მთავარი მიზეზი იყო არგუმენტირებულ პოზიციაში ასახული ფაქტობრივი გარემოებები, კონკრეტულად კი დაწესებულებაში არსებული მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აფასებდა უნივერსიტეტის სამეცნიერო პროდუქტიულობას. თუ პირველ შემთხვევაში იყო ეჭვები, ხომ არ იყო ეს ზედმეტად დაკავშირებული ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურთან, შემდეგ დარწმუნდნენ, რომ არსებობდა სპეციალური სამონიტორინგო ჯგუფი, რომელიც ამ პროცესებს გაუწევდა კურიერებას მომავალში, რამაც გამოიწვია შესაბამისად კომპონენტის შეფასების გაუმჯობესება. რაც შეეხება 6.1 კომპონენტს, აქ არ იყო რაიმე ახალი მტკიცებულება, ჯგუფმა ხელახლა გაანალიზა, ასევე გაიხსენა ჯამურად ის კვლევები რაც გაკეთებულია დაწესებულების მოწვეული და აფილირებული პერსონალის მიერ. ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დადებითი წარმოდგენა დატოვა შეხვედრებმა აკადემიურ პერსონალთან და მისი აზრით, კვლევის კომპონენტი რაც ჰქონდა დაწესებულებას, რაც ეკუთვნოდა აფილირებულ პერსონალს, შეესებამებოდა იმ მინიმალურ სტანდარტებს, რაც შესაძლოა მოთხოვნილი ყოფილიყო კოლეჯისთვის. ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს იყო მისი გადაწყვეტილება და ამიტომ გადაწყვიტა შეფასების გაუმჯობესება, ანუ ეს არ ყოფილა განპირობებული რაიმე ახალ აღმოჩენილი გარემოებით, რომელიც ახლდა არგუმენტირებულ პოზიციას.

საბჭოს წევრი, მაკა გველესიანი დაინტერესდა დაწესებულების სტრატეგიასთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციით, რომელიც გულისხმობდა სტრატეგიის მეტად განვითარებას, უფრო მკაფიო და მისაწვდომი მიზნების ჩამოყალიბებას, შესაბამისად დაინტერესდა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციის საფუძვლებით და კონკრეტულად რის შეცვლას ითხოვდა ექსპერტთა ჯგუფი.

ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს გამომდინარეობდა მთლიანად იქიდან რაც დასკვნაში იყო მოყვანილი და არ იყო მხოლოდ მე-6 სტანდარტის გათვალისწინებით. დაწესებულებას ჰქონდა თავისი გეგმები, თუმცა დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია ინსტიტუციური განვითარებისთვის ჰქონდეს პრიორიტეტული მიზნები, რომ იყოს უფრო მარტივად მიღწევადი, ასევე მნიშვნელოვანია რომ ეს მიზნები ფინანსური კუთხით იყოს გაზომვადი მომავლისთვის.

საბჭოს წევრი, ნანა შარიქაძე, დაინტერესდა 6.1 კომპონენტისა და პირველი სტანდარტის შეფასების ურთიერთმიმართებით და რამდენად მოდის თანხვედრაში ერთმანეთთან ეს ორი შეფასება, რადგან 1.2 კომპონენტი ფასდებოდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მაშინ როდესაც, 6.1 კომპონენტი, შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. აღნიშნულთან დაკავშირებით ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 1.2 კომპონენტის შეფასება გამომდინარეობდა მთელი სტრატეგიიდან გამომდინარე, რომ არსებობდა სხვადასხვა მიმართულებები გეგმაში, მაგალითად: ხარისხის სტრატეგია, სტრატეგია კვლევაზე, ბიბლიოთეკის

Handwritten signature in blue ink.

სტრატეგია და სხვა. შესაბამისად, 1.2 კომპონენტის შეფასება მხოლოდ კვლევით სტრატეგიას არ ეხებოდა.

საბჭოს წევრი, მაკა გველესიანი, დაინტერესდა მე-4 სტანდარტის შეფასებისას შეტანილი ცვლილებების მიზეზით, რომელიც ეხებოდა პერსონალის მენეჯმენტსა და დატვირთვას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მათ მიერ განხორციელებული ცვლილება დაეყრდნო დაწესებულების მხრიდან მოწოდებულ არგუმენტირებულ პოზიციას და ასევე, ცვლილებები განხორცილდა სხვა სტანდარტში შეფასების თანმიმდევრულობის დაცვის მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უშუალოდ ვიზიტიდან უნდა იქნეს ხაზგასმული, რომ დაწესებულება იყო მცირე ზომის, რომელიც ახორციელებდა მხოლოდ ერთ პროგრამას. მან აღნიშნა, რომ ვიზიტისას შთაბეჭდილება მოახდინა იმ კოლეგიალურმა ბუნებამ, რაც ამ დაწესებულებაში არსებობდა, ასევე სტუდენტების აქტიურმა ჩართულობამ ყველა პროცესში. ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კარგად არ იცნობდა ქართულ საუნივერსიტეტო გარემოს, თუმცა ის ღირებულებები, რაც დაინახა დაწესებულებაში, ხშირი არ იყო სხვა ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა საერთაშორისო ექსპერტს საბჭოს სხდომაში მონაწილეობისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ, ნუგზარ სხირტლაძემ კითხვით მიმართა ადგილობრივ ექსპერტებს და დაწესებულების წარმომადგენლებს პირველ სტანდარტთან მიმართებით არსებულ შეფასებაზე, რომლის მიხედვითაც, დაწესებულების მისიის განაცხადი და სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავდა მხოლოდ ავტორიზაციის პროცესის მოთხოვნების შესაბამისობისთვის და არ წარმოადგენდა დაწესებულების აქტიური მენეჯმენტის ინსტრუმენტს.

დაწესებულების პრორექტორმა, მარინა კობალავამ მადლობა გადაუხადა საბჭოს თითოეულ წევრს სხდომაზე დასწრებისთვის, ასევე ექსპერტთა ჯგუფის წევრებს მათ მიერ გაწეული კოლოსალური შრომისთვის, რომელიც მათ გასწიეს დასკვნაზე მუშაობისას. სხდომის თავმჯდომარის ბოლო კითხვაზე პასუხად კი აღნიშნა, რომ ჯორჯიაში მისია შეიმუშავა ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა როგორც მოწვეული და აკადემიური პერსონალის, ასევე ადმინისტრაციის, სტუდენტების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული ჯგუფების წარმომადგენლების მიერ. შესაბამისად, შემუშავების პროცესი წარმოადგენდა თანამონაწილეობით პროცესს და ითვალისწინებდა ავტორიზაციის სტანდარტებს და შესაბამის ინდიკატორებს.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა, ნინო ამირანაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ თავის მისიას უნდა გადახედოს იმდაგვარად, რომ გამოკვეთოს მთავარი მახასიათებლები, რომელიც მას წარმოაჩენს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ექსპერტთა ჯგუფის შეფასების, დაწესებულების მისია იყო ზოგადი და ძირითადად კონცენტრირებული იყო ავტორიზაციის სტანდარტზე და არა კოლეჯის მახასიათებლებზე. ამასთანავე, ვინაიდან კოლეჯი ახორციელებდა პროგრამას, რომელიც თითქმის ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნდა, კონკურენტულ გარემოში

წ. მონათაძე

მნიშვნელოვანი იყო სწორედ მათი თვისებების და მახასიათებლების წარმოჩენა, რის გამოც მოხდა შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას გააზრებული თუ როგორ იყო შესაძლებელი სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა, ვინაიდან ეს მისცემდა დაწესებულებას შესაძლებლობას გაეზარდა ფინანსური რესურსები, რაც ხელს შეუწყობდა კოლეჯის ფინანსურ სტაბილურობას. ასევე დაწესებულებას სტრატეგიაში ჰქონდა მითითებული, რომ აპირებდა ახალი პროგრამების დამატებას. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების ხედვით.

დაწესებულების პრორექტორის განმარტებით, იგეგმებოდა ახალი პროგრამების დამატება, რა თქმა უნდა, თუმცა ასევე აღინიშნა, რომ პროგრამების დამატებამდე იმ კვლევის და ანალიზის საჭიროებაზე, რომელიც ამ პროცესებს უნდა უძღვოდეს წინ, განსაკუთრებით ყურადსაღები იყო სტუდენტების მიერ სტატუსის შეჩერების მაღალი მაჩვენებელია, რომლის გამოსწორებაც ასევე ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა დაწესებულებისთვის.

საბჭოს წევრმა, კონსტანტინე სირბილაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ბოლო წლებში რამდენიმეჯერ შეიცვალა სახელწოდება და დაინტერესდა ამ გადაწყვეტილებათა მოტივაციით, ხოლო მეორე შეკითხვა ეხებოდა გეგმავდა თუ არა დაწესებულება სხვა საფეხურის პროგრამების განხორციელებას მომავალში.

პროგრამის ხელმძღვანელის, მერაბ მიქელაშვილის განმარტებით, სტრატეგიული გეგმის მიხედვით, დაწესებულება გეგმავდა პროფესიული პროგრამების შემუშავებას. კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შეტანის შედეგად კი, დაწესებულებას ეძლეოდა შესაძლებლობა განეხორციელებინა 3 წლიანი ბაკალავრიატის პროგრამები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით დაწესებულებას ჰყავდა პარტნიორი - ბალტიის საერთაშორისო აკადემია. მათთან თანამშრომლობით დაწესებულებას ჰქონდა გეგმა, რომ შემუშავდეს ბიზნეს ადმინისტრირების 3-წლიანი პროფესიული ბაკალავრიატი, რომელსაც, დაწესებულება ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო 4 წლიან პროგრამის პარალელურად შესთავაზებდა სტუდენტებს.

საბჭოს წევრმა, ლევან იმნაიშვილმა, მიმართა ექსპერტებს, დასკვნაში აღნიშნული სტუდენტების გამოკითხვების შესახებ. დასკვნაში, ექსპერტების მოცემული რჩევა ითვალისწინებდა, რომ კითხვარების ელექტრონული ფორმით შეთავაზებას, შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა რა ფორმით უნდა იყოს ეს გამოკითხვები, რომელიც ერთის მხრივ იქნება უშუალოდ სტუდენტების მიერ შევსებული, თუმცა მეორეს მხრივ, შეინარჩუნებს ანონიმურობას.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო ამირანაშვილმა აღნიშნა, რომ ელექტრონული ფორმით კითხვარების შევსების რჩევებში ჩაწერა სწორედ ანონიმურობის და შედეგების ვალიდურობის პრობლემის გამო დადგა დღის წესრიგში. არსებობდა მექანიზმები და პროგრამები, რომელიც კითხვარების ანონიმურობას უზრუნველყოფს, ხოლო ახლა უნივერსიტეტში არსებული პრაქტიკა ითვალისწინებს გამოცდის დაწყებამდე ან დასრულების შემდეგ პროფესორების მიერ კითხვარების დარიგებას, რაც ერთის მხრივ უკუკავშირის ნაყოფიერებისთვის იქნა გამოყენებული, თუმცა კი ეს

ბ. იმნაიშვილი

საფრთხეს უქმნიდა კითხვარების შედეგების ვალიდურობას, შესაბამისად საჭირო იყო სხვა მექანიზმის გამოყენება.

სხდომის თავმჯდომარე, ნუგზარ სხირტლაძე, დაინტერესდა სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობით, ვინაიდან დასკვნაშიც ნახსენები იყო, რომ სტუდენტური თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ხარისხი იყო საკმაოდ დაბალი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო ამირანაშვილმა აღნიშნა, რომ მეორე სტანდარტთან მიმართებით იყო ორი ძირითადი შენიშვნა, ერთი ეხებოდა ინტერნაციონალიზაციას, ხოლო მეორე ეხებოდა ორგანიზაციულ სტრუქტურას. წარმოდგენილ ორგანიზაციულ სტრუქტურაზე დაყრდნობით ჩანდა, რომ გარდა აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოსი, ყველა სტრუქტურული ერთეული ექვემდებარებოდა რექტორს. ასევე დამფუძნებელთა კრება წარმოდგენილი იყო ერთი ადამიანით - რექტორით, რაც ხელისშემშლელი წინაპირობები იყო დაბალანსებული და შეჯერებული გადაწყვეტილების მიღებისთვის. ამ მიმართულებით ექსპერტებმა არ გაითვალისწინეს დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, ვინაიდან მათი პოზიცია ეყრდნობოდა დაწესებულების მიწოდებულ ორგანიზაციულ სტრუქტურასა და ინტერვიუების შედეგებს. რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციას, აქაც იყო რამდენიმე შენიშვნა, კერძოდ, საჭირო იყო მეტი რესურსის მიმართვა უცხოენოვან კომპონენტების შემუშავებაზე, პერსონალის ტრენინგებზე ინგლისურ ენაში, ასევე ვებგვერდი იყო მხოლოდ ქართულ ენაზე და საჭიროებდა ინგლისურენოვან ვერსიას. დაწესებულებას გააჩნდა მხოლოდ ორი მემორანდუმი, თუმცა ამ მემორანდუმების ფარგლებში გაცვლითი აქტივობები არ განხორციელებულა, ჩატარებული იყო მხოლოდ ორი საერთაშორისო კონფერენცია.

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ნინო ბოჭორიშვილი, დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს, რომ ამ მიმართულებით იყო სამუშაოები ჩასატარებელი, თუმცა სამუშაოები უკვე მიმდინარეობდა და უკვე როგორც აღინიშნა ამ მემორანდუმების ფარგლებში ორი - სტუდენტური და პროფესორების კონფერენცია იყო ჩატარებული. დაწესებულების წარმომადგენელი ასევე გამოეხმაურა წინა შეკითხვას კითხვარებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სტუდენტებს კითხვარები მიეწოდებათ არა აკადემიური პერსონალის, არამედ მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ. ასევე მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულიყო, რომ ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა სტუდენტური გამოკითხვების რამდენიმე წლის შედეგები, რომლებიც გაანალიზებული და შეჯამებული იყო შესაბამისი ჯგუფის მხრიდან.

საბჭოს წევრი, მაკა გველესიანი, დაინტერესდა აღნიშნულ საკითხზე სტუდენტების მოსაზრებით, თუ რა დაფიქსირდა ინტერვიუების დროს. ექსპერტთა განმარტებით, ვიზიტისას სტუდენტებთან შეხვედრის დროს დადასტურდა, რომ მათ ზუსტად არ ესმოდათ კითხარის ზოგიერთი კითხვის შინაარსი. კერძოდ, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი კითხვა ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. ამასთანავე, შეხვედრაზე დამსწრე ყველა სტუდენტი იყო მოზილობით გადმოსული, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო პასუხი, თუ რამდენად გათვალისწინებულია სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები პროგრამების განვითარების პროცესში.

ბ. ლომიძე

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ნინო ამირანაშვილი დამატებით აღნიშნა, რომ ინტერვიუებისთვის შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეული სტუდენტები სხვადასხვა ჩარიცხვის წლების მიხედვით აღმოჩნდნენ მობილობით გადმოსული სტუდენტები. ამასთან, საგულისხმოს იყო ის გარემოებაც, რომ დაწესებულებაში რეგისტრირებული სტუდენტების უმრავლესობა მობილობის გზით იყო დაწესებულებაში გადმოსული.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია, დაინტერესდა სტუდენტთა განთესვის მაჩვენებლით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება მუდმივად ახორციელებდა სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამებს, განთესვის მაჩვენებელი იყო ძალიან დაბალი.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია, დაინტერესდა სტუდენტთა სწავლის გადასახადის ოდენობის საკითხით. ექსპერტთა განმარტებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მათ ჰქონდათ განსხვავებული ინფორმაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშთან ერთად მოწოდებულ სტუდენტთა ხელშეკრულების ნიმუშს, კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციასა და სტუდენტთა შეხვედრის დროს მიღებული ინფორმაციიდან დაფიქსირდა სწავლის გადასახადის სხვადასხვა ოდენობა. სტუდენტთა განმარტებით, დაწესებულების მხრიდან სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მათ უწევდათ სტანდარტული გადასახადისგან განსხვავებული ოდენობის გადახდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული ფაქტი აიხსნებოდა იმ გარემოებით, რომ სასწავლო წლების მიხედვით დაწესებულებაში განსხვავდებოდა სტუდენტთა სწავლის გადასახადის ოდენობა. შესაბამისად, სწავლის საფასური განსხვავდებოდა ჩარიცხვის წლების მიხედვით.

სხდომის თავმჯდომარე, ნუგზარ სხირტლაძე დაინტერესდა მესამე სტანდარტში მოცემული ძირითადი შენიშვნებით. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო ამირანაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში არის ტენდენცია პროგრამების დახურვის, ბოლო წლებში რამდენიმე პროგრამა დაიხურა, ამჟამად დარჩა მხოლოდ ერთი, რომელიც მეტწილად შესაბამისობაში იყო სტანდარტებთან.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე, დაინტერესდა დაწესებულებაში არსებული მეორე ფაკულტეტის საკითხით, რომელიც თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნული იყო, როგორც მიღწევად რეჟიმში არსებული პროგრამა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენის პერიოდში დაწესებულებაში ფუნქციონირებდა 2 - ბიზნეს ადმინისტრირების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტები. ამჟამად კი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი გაუქმდა, შესაბამისად, დაწესებულებამ უზრუნველყო 13 სტუდენტის სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული ფაკულტეტის გაუქმების გადაწყვეტილება დაეყრდნო შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს.

Handwritten signature

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია, დაინტერესდა აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების საკითხით. ექსპერტთა განმარტებით, შრომით ხელშეკრულებებში დაფიქსირებული იყო ფიქსირებული ოდენობა, ხოლო აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების დროს დაფიქსირდა, რომ ანაზღაურება ანგარიშდებოდა საათობრივი დატვირთვის მიხედვით. დაწესებულების წარმომადგებლის განმარტებით, ექსპერტთათვის მიწოდებული იყო ხელშეკრულების სტანდარტული ფორმა. რეალურად კი, აკადემიური პერსონალის შრომითი ანაზღაურება განისაზღვრებოდა მათი საათობრივი დატვირთვის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარე, ნუგზარ სხირტლაძე, დაინტერესდა სტუდენტთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეთავაზების საკითხით. ექსპერტთა განმარტებით, ვიზიტისას არ დაფიქსირდა სტუდენტთა ინდივიდუალური გეგმის არსებობა. მხოლოდ სტუდენტებთან შეხვედრის დროს დაფიქსირდა, რომ სურვილის შემთხვევაში, მათ აქვთ შესაძლებლობა, უშუალოდ ლექტორთან გაიარონ აღნიშნული საკითხი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებაში არსებობდა სტუდენტთა ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პრაქტიკა, რომელსაც თავად სტუდენტიც აწერს ხელს. ვიზიტის დროს კი, ექსპერტთა მხრიდან არ იყო აღნიშნული დოკუმენტი მოთხოვნილი.

საბჭოს წევრი, ირაკლი ღარიბაშვილი, დაინტერესდა დაწესებულებაში დანერგილი პლაგიატიზმთან ბრძოლის მექანიზმებით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში დაწესებულება გეგმავდა პლაგიატის აღმოჩენის სისტემის შეძენას, აღნიშნული მიზნით საერთო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 30 000 ლარი.

საბჭოს წევრი, ირაკლი ღარიბაშვილი, დაინტერესდა დაწესებულების საბიბლიოთეკო რესურსით და მისი მოხმარების სტატისტიკით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ყველა სასწავლო მასალა და სტუდენტების მხრიდან ფიქსირდება მისი ხშირი მოხმარება. დაწესებულება ახორციელებს მოხმარების სტატისტიკას.

4.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ექსპერტთა მიერ გაკეთებული ჩანაწერი, რომ პერსონალის დატვირთვის ცხრილები არ მოიცავდა კვლევის კომპონენტს, არ შეესაბამებოდა სიმართლეს. მათი განმარტებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ცხრილი მოიცავდა, როგორც კვლევით, ასევე სასწავლო აქტივობებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აღნიშნული ცხრილი წარმოდგენილი იყო 2018-2019 წლის სასწავლო პროგრამისთვის, შესაბამისად, მასში ჯერჯერობით ვერ იქნებოდა კვლევითი კომპონენტი შევსებული. აღნიშნული ფაქტის განხილვისას, დაწესებულების პოზიციით, ხაზგასასმელია, რომ თავდაპირველად საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენისას ცენტრში დაწესებულებამ წარადგინა პირველადი თვითშეფასება, რომელიც მოიცავდა 2017-2018 სასწავლო წლის დატვირთვის ცხრილს. პირველადი დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ ცენტრის მიერ დადგინდა ხარვეზი, აღნიშნულის შემდგომ დაწესებულების მხრიდან გამოსწორდა ხარვეზი და მათ მხრიდან წარმოდგენილი იყო ახალი დოკუმენტაცია, რომელიც აღარ მოიცავდა ცხრილს პირველადი მონაცემებით. ამასთანავე, მასში მითითებული იყო აკადემიური პერსონალის სხვა უსდ-ში დატვირთვის მონაცემები. შეფასების მექანიზმებთან მიმართებით, დაწესებულების

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პერსონალი წარმოდგენდა თვითშეფასების ფორმას. მონიტორინგი კი, რა თქმა უნდა, ხორციელდებოდა და მისი შედეგები წარმოდგენილი იყო ექსპერტებისთვის.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია, დაინტერესდა მოწვეული და აფილირებული პერსონალის თანაფარდობითა და კვლევის მხარდაჭერის მექანიზმებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებაში იყო შემდეგი თანაფარდობა: აკადემიური და მოწვეული პერსონალი - 18/7, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი - 1/1, აკადემიური პერსონალი და სტუდენტი - 1/7.

დაწესებულების წარმომადგებლის განცხადებით, ექსპერტთა დასკვნაში მითითებული იყო, რომ დაწესებულებაში აფილირებული პერსონალი პარალელურად აფილირებული იყო სხვა დაწესებულებებშიც. აღნიშნული ფაქტი არ შეესაბამებოდა სიმართლეს, რაც დადასტურდა მათი მხრიდან ცენტრის რეესტრის სამმართველოდან მოთხოვნილი დოკუმენტაციითაც. ექსპერტთა განმარტებით, აღნიშნული საკითხი გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფმა და შესაბამისად, საკითხის ფორმულირება საბოლოო დასკვნაში მათი მხრიდან იყო უკვე შეცვლილი. ნინო ამირანაშვილმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ რეკომენდაციის შინაარსი ეხებოდა იმას, რომ დაწესებულების მმართველობით პოზიციებზე დასაქმებული პირების უმრავლესობა აფილირებული იყო იმავდროულად სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 20:48 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 21:40 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში მოცემული გარემოებები და შეცვალა მე-4, მე-6 და მე-7 სტანდარტების შეფასებები. თუმცა, მიუხედავად ექსპერტთა მიერ განხორციელებული ცვლილებებისა, მე-4 სტანდარტი, რომელიც ეხება დაწესებულების ადამიანურ რესურსს, შეფასდა, როგორც - ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან. საბჭოს წევრებმა მიიჩნიეს, რომ ის რეკომენდაციები, რომელიც ეხებოდა 4.1 და 4.2 კომპონენტებს იყო არსებითი ხასიათის და მათი გამოსწორების გარეშე დაწესებულება ვერ უზრუნველყოფდა საგანმანათლებლო საქმიანობის სრულყოფილად და ხარისხიანად განხორციელებას. შესაბამისად, საბჭო იზიარებდა ექსპერტთა შეფასებას, როგორც 4.1, ასევე 4.2 კომპონენტთან მიმართებით და თვლიდა, რომ ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გამოსწორებას ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა.

აქედან გამომდინარე, სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულებას განუმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ავტორიზაციის დებულების 25-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დაწესებულებას მიენიჭებოდა ავტორიზაცია სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის პირობით.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიასთვის ავტორიზაციის მინიჭების, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრისა და სტუდენტთა მიღების უფლების 1 წლის ვადით შეზღუდვის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი- 2

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 2¹ პუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 3¹ პუნქტის, 56³ მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 1¹ პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 25¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიას (ს/კ: 204876991) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (კოლეჯი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით. შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიას სტუდენტთა მიღების უფლება შეეზღუდოს 1 წლის ვადით.



2. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს წევრმა, რამაზ საყვარელიძემ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა თვითაცილება.

სხდომის თავმჯდომარემ ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე Skype-ის მეშვეობით წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სიჟბოლტ ნურდამ. საბჭოს წინაშე რეკომენდაციები ასევე წარადგინეს ადგილობრივმა ექსპერტებმაც:

- უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს ხელმძღვანელობის ახალი სტრუქტურის დეტალური მონიტორინგი გარე პროფესიული რჩევების გათვალისწინებით.
- დაწესებულებამ II.1, II.4, II.6 და II.7 სტრატეგიული მიზნები უმაღლეს პრიორიტეტად უნდა აქციოს ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით.
- დაწესებულებამ უნდა გააძლიეროს არა მარტო კვლევის შესაძლებლობები, არამედ განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართოს სადოქტორო პროგრამის განვითარებაზე და მოიძიოს გზები მის ინტერდისციპლინური კვლევის განვითარების მიზნით.
- ასევე, დაწესებულებისთვის პრიორიტეტად უნდა იქცეს ახალი კამპუსის პროექტი. საქმიანობისა და ორგანიზაციული დაგეგმვის პარალელურად - ყურადღება უნდა მიექცეს მშენებლობის პროექტს, რათა მზად იყოს ახალი ნაგებობის ოპტიმალური გამოყენებისთვის.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე, დაინტერესდა 6.1 კომპონენტის შეფასებით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას კვლევითი აქტივობის მიმართულებით ბევრი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს დაწესებულების მზაობა, მონდომება და ჩართულობა ამ კომპონენტის გასავითარებლად და გასაძლიერებლად.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოსაზრებით, თუ რომელ სტანდარტში ჭირდებოდა დაწესებულებას ყველაზე მეტად გაძლიერება. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით, დაწესებულებამ გაუმჯობესების მიზნით აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს - ორგანიზაციულ სტრუქტურას, ადამიანურ რესურსებს აფილირებული პერსონალის მიმართულებით, კვლევას და ინფრასტრუქტურას ერთიანი შენობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

დაწესებულების რექტორმა, მაკა იოსელიანმა, დიდი მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსთვის. მისი განცხადებით, დასკვნა ფაქტობრივად სრულად ასახავდა დაწესებულებაში არსებულ რეალურ სურათს. დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, არჩილ გერსამიას, განცხადებით, მართვის ახალი მოდელის შეფასებაში დაინტერესებული მხარეების

ბ. მოთხოვ

ჩართვასთან მიმართებით დაწესებულება ადასტურებდა მზაობას, მისი განმარტებით, გარე ექსპერტებისა და სხვა დაინტერესებულ პირთა ჩართვა მიღებული პრაქტიკა იყო საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე, დაინტერესდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის საკითხით. კერძოდ, აღნიშნული გეგმები ძირითადად დაწესებულებაში გამოყენებული იყო აკადემიური საჭიროებიდან თუ აკადემიური თავისუფლებიდან გამომდინარე. ექსპერტთა განმარტებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსი გულისხმობდა სტუდენტების არსებული მდგომარეობის იდენტიფიცირებასა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი გეგმის გამოყენებას. რაც შეეხება მის აკადემიურ თავისუფლებასთან მიმართებით განხილვას, ნაკლებად იყო მასთან დაკავშირებული.

საბჭოს წევრი, რიმა ბერიაშვილი, დაინტერესდა აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულების აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. ამ ეტაპზე დაწესებულებას ჰყავდა 85 აკადემიური პერსონალი, საიდანაც 80 უკვე იყო აფილირებული. 5 მათგანი კი, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ახორციელებდა პროექტს და შესაბამისად, ჯერ-ჯერობით შეუძლებელი იყო მათი აფილირება.

საბჭოს წევრი, რიმა ბერიაშვილი, დაინტერესდა, ფუნდამენტური კვლევის საკითხით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი მისი მთავარი პროფილიდან გამომდინარე, მუდმივად ახორციელებდა საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირების კონსულტირებას. თუმცა, ამის პარალელურად, დაწესებულებამ დაიწყო აკადემიური/ფუნდამენტური კვლევის მიმართულების განვითარება. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ხაზგასასმელი იყო კვლევითი აქტივობის სტატისტიკა ბოლო საავტორიზაციო პერიოდში (2012-2018 წ.), კერძოდ - 234 გამოქვეყნებული პუბლიკაცია, 38 კვლევითი პროექტი და 135 სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა. რაც შეეხება მთავარ კვლევით მიმართულებებს, რა თქმა უნდა, ისინი განისაზღვრებოდა დაწესებულებაში მოქმედი 4 სკოლის პროფილის შესაბამისად.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, დაინტერესდა დაწესებულებაში ჩატარებული ინტერდისციპლინარული კვლევების საკითხით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში განხორციელებული ერთ-ერთი ინტერდისციპლინარული კვლევითი პროექტი იყო პოლიტიკის ადვოკატირება, რომელშიც რამდენიმე მიმართულებით შესაძლებელია კვლევითი ფოკუსის მიმართვა, კერძოდ, ეს შეიძლება იყოს იურიდიული ასპექტები, სოციალური ჯგუფების პერსპექტივა, სოციოლოგიური პერსპექტივა, ფსიქო-რევოლუციური განწყობები და ა.შ. ასევე, კვლევითი აქტივობის განხილვისას, მაღიან მნიშვნელოვანი იყო დაწესებულების მხრიდან ამ მიმართულებით გამოყოფილი ფინანსური მხარდაჭერა, მცირე კვლევითი გრანტები და კიდევ, ხაზგასასმელი იყო ასისტენტების, ახალგაზრდა მკვლევარების მხარდაჭერა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ საუნივერსიტეტო კვლევით აქტივობებში. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ერაზმუს + ის გრანტი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულება აქტიურად მუშაობდა სადოქტორო საფეხურის/სადისერტაციო დაცვების სტატისტიკური მაჩვენებლის გაზრდაზე,

რომელიც ამ ეტაპზე 13%-ს შეადგენდა. სწორედ მხარდაჭერის საფუძველზე 6 სტუდენტი უახლოეს მომავალში დაასრულებდა კვლევას.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების ინფრასტრუქტურის, კერძოდ ახალი კამპუსის საკითხით. დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, განცხადებით, ექსპერტთა მხრიდან მათ სუსტ მხარედ დასახელდა დაწესებულების 4 სხვადასხვა შენობაში განთავსების საკითხი. მისი განმარტებით, რა თქმა უნდა, მენეჯმენტის პრიორიტეტი იყო ახალი კამპუსის დროულად აშენება და დაწესებულებას სრული ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულიყო, რომ მიწის ნაკვეთი იყო უკვე შეძენილი, შესაბამისად, ფინანსური ფაქტორის გათვალისწინებით დაიწყებოდა ახალი შენობის ეტაპობრივი აშენება და მოწყობა. დაწესებულებას, რასაკვირველია, შენობის ოპტიმალურად გამოყენების კონკრეტული გეგმა ჰქონდა, შესაბამისად, ექსპერტთა მხრიდან ამ საკითხზე კითხვის ნიშანი არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა მიწის ნაკვეთის ფართობით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მიწის ნაკვეთი მდებარეობს კრწანისში და ფართობი შეადგენდა 1088 კვ.მ -ს.

ექსპერტთა განმარტებით, მათი მხრიდან დაწესებულების ინფრასტრუქტურული ნაწილი შეფასდა ამჟამად არსებული მდგომარეობითა და რა თქმა უნდა, დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი გეგმის გათვალისწინებით. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაწესებულება აღნიშნულ შენობით უზრუნველყოფას შეძლებდა მინიმუმ 3 წლის შემდეგ, რაც მომავალი საავტორიზაციო პერიოდის ნახევარს შედგენდა. შესაბამისად, აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტები სრულად ვერ დაეყრდნობოდნენ მხოლოდ გეგმას და მათი შეფასება ნაწილობრივ დაეფუძნა ამჟამად არსებულ ინფრასტრუქტურულ რეალობას. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა შეფასებით, 7.1 კომპონენტი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებულ შეფასებებს, შესაბამისად, გინაიდან, 2 სტანდარტი შეფასებული იყო, როგორც მეტწილად შესაბამისი, საბჭო, მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად, დაწესებულებას განუსაზღვრავდა 1 წლიან ვადას. ამასთან, საბჭოს შეფასებით, დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 1 500 სტუდენტისთვის.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³ მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

Handwritten signature in blue ink.

ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს (ს/კ: 204429341) 6 წლით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1 500-ით.

დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 1 წელი.

ნ. მორიშვილი

3. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა

საბჭოს წევრმა, რამაზ საყვარელიძემ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა თვითაცილება.

სხდომის თავმჯდომარემ ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა:

- მოდულებში ასახონ დაწესებულების მფლობელობაში და ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების დასახელებები, რომლებიც მომზადებულია ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტსა და „რს თრეინინგ ენდ ქონსალტენსი ჯორჯიას“ შორის 2016 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული N 2110-16 ხელშეკრულების ფარგლებში.
- პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები დაინომროს და აღირიცხოს დაწესებულების შინაგანაწესში გაწერილი რეესტრის წარმოების წესის შესაბამისად.
- დამტკიცდეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული სამოქმედო გეგმა უფლებამოსილი პირის მიერ.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, დაინტერესდა დაწესებულებაში არსებული პროგრამის შესაბამისი ლაბორატორიების საკითხით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებაში პროფესიული პროგრამები ხორციელდებოდა ათასწლეულის გამოწვევების ფონდის მხარდაჭრითა და დაფინანსებით. შესაბამისად, სასწავლო პროცესისთვის საჭირო აღჭურვილობა სრულად შეძენილი იყო უცხოელი ექსპერტების ჩართულობითა და მათი რეკომენდაციებით. გამომდინარე აქედან, დაწესებულება სრულად იყო უზრუნველყოფილი სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიმართულებით.

საბჭოს მოწვეული წევრი, შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას წარმოდგენილი პროგრამების შემუშავების რეგულაცია.

ექსპერტთა განცხადებით, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა პროფესიული პროგრამების შემუშავების რეგულაცია, რაც დადასტურდებოდა ვიზიტისას.

წ. მორთაიძე

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 23:45 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 23:55 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციების გათვალისწინებით, რომლებიც ჰქონდათ ექსპერტებს, დაწესებულებას შეეძლო განხორციელებინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 40-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის, 25-ე მუხლის 4¹ და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს (ს/კ: 204429341) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 40-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგომ, საბჭოს სხდომა დასრულდა 23:58 საათზე.

თავმჯდომარე
ნუგზარ სხირტლაძე



მდივანი
მაკა გველესიანი

